



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში
2018 წელი



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2018 წელი

• წლიური საჯარო ანგარიშის შემუშავების პრინციპები:

მუნიციპალიტეტის მერის წლიური საჯარო ანგარიშის შემუშავების პროცედურები ეყრდნობა ეფექტური მმართველობის პრინციპებს, რაც გულისხმობს სტრატეგიული პრიორიტეტებისა და დასახული მიზნების მიღწევის მიზნით მუნიციპალიტეტის მერის მიერ მოქალაქეებთან მჭიდრო კონტაქტში არსებული რესურსების პასუხისმგებლობითა და ანგარიშვალდებულად გამოყენებასა და ამ საქმიანობის თანმდევი რისკების მართვას.

წლიური საჯარო ანგარიშის შემუშავებისას უზრუნველყოფილია შემდეგი საკითხების განხილვა:

- მართვის ეფექტურობა.
- მართვის შესაბამისობა.
- მართვის ჩართულობა.
- მართვის საჯაროობა.

• აღნიშნული ანგარიში შედგენილია:

➤ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს, მათ შორის 88-ე მუხლის-„მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა“ შესაბამისად.

➤ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს, მათ შორის მუხლის 28-ს მე-2 პუნქტის, მუხლი 37-ს მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად;

➤ მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილების მოთხოვნების დაცვით.

• საჯარო ანგარიშში განხილულ საკითხთა სტრუქტურა:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის წლიური საჯარო ანგარიში, დადგენილ პრინციპებზე დაყრდნობითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერის უფლება-მოვალეობებიდან გამომდინარე მოიცავს სავალდებულო შემდეგ საკითხებს:

- ❖ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;
- ❖ ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ❖ განათლების ხელშეწყობა;
- ❖ კულტურის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის განვითარების ხელშეწყობა;
- ❖ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
- ❖ სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა;
- ❖ მუნიციპალიტეტის მუშაობის საჯაროობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა;

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია

ახორციელებს მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებულ კულტურულ, საგანმანათლებლო, სპორტულ, სოციალურ, ჯანდაცვის და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამებსა და პროექტებს.

მუნიციპალიტეტის მერიის მიზანი იყო ქალაქსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში ინფრასტრუქტურის განვითარება, რისთვისაც საჭირო გახდა მოსახლეობის ჩართულობით

მათზე მორგებული, რეალურად განხორციელებადი, ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი 4 წლიანი სამოქმედო 2018 – 2019-2020-2021 წლების განვითარების გეგმის შედგენა.

დასახელებული პროექტების ნაწილი მოკლე ვადაში განხორციელებადია, ზოგიერთი მათგანი კი მოიცავს ეტაპებს და შესაბამისად გაწერილია გრძელვადიან გეგმაში.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებები ითვალისწინებს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ეკონომიკური განვითარებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნას, მოსახლეობის სოციალური და ჯანდაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებას, განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარებას.

- აღნიშნული მიზნების მისაღწევად განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

❖ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;

მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, საერთო და ინდივიდუალურ საჭიროებათა მაქსიმალურად უზრუნველყოფისა და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების სრულად განხორციელებისთვის უმნიშვნელოვანესია ფინანსური და მატერიალური ბაზის ზრდა და განმტკიცება, რაც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ადგილობრივი ბიუჯეტის მოცულობაზე.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მოცულობა 2018 წლის დაზუსტებული ბიუჯეტით შეადგენს 47 669.4 ათას ლარს, მათ შორის საკუთარი შემოსავლებით 35 668.4 ათას ლარს.

მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი 34 096.0 ათასი ლარიდან 17 508.0 ათასი ლარი მიიმართა ინფრასტრუქტურის, მშენებლობა-რეაბილიტაციასა და ექსპლოატაციაზე. მათ შორის 5 901.5 ათასი ლარი საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციასა და მოვლა-შენახვაზე.

მუნიციპალიტეტის ქალაქისა და 48 ადმინისტრაციული ერთეულის დასუფთავების პროგრამაზე მიიმართა 3 718.7 ათასი ლარი. კეთილმოწყობის სამუშაოებისა და გარე განათების მოხმარებულ ენერგიაზე 3 370.3 ათასი ლარი, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ 319.5 ათასი ლარი. სანიაღვრე არხების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე 502.8 ათასი ლარი.

ბიუჯეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტის, სოციალურ სფეროსა და ჯანდაცვის ღონისძიებებზე გამოიყო 2 026.6 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა სხვადასხვა სახის პროგრამის დაფინანსებაზე.

განათლების სფეროს დაფინანსებამ წლის განვლილ პერიოდში შეადგინა 4 730.2 ათასი ლარი, რომლის ძირითადი თანხა 3 676.4 ათასი ლარი მიიმართა სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამაზე.

კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდული და სპორტის სფეროს დაფინანსებაზე გამოიყო 2 903.2 ათასი ლარი.

ყველა ზემოხსენებული დარგებისა და სფეროების მიხედვით განხორციელებულია შესაბამისი პროგრამები, ღონისძიებები და აქტივობები.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიის და ადმინისტრაციული ერთეულების შესანახ ხარჯებზე მთლიანობაში გამოიყო 5 980.0 ათასი ლარი.

ნიშანდობლივია, რომ მუნიციპალიტეტის საჭიროებები, ტერიტორიის ფართობის, დევნილი და ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობისა და სხვადასხვა აკადემიური სტატისტიკური პარამეტრებით, საზღვრისპირა რეგიონის, სკოლამდელი აღზრდის პროგრამის

ახალ სტანდარტებზე გადასვლის უზრუნველსაყოფად გასატარებელ ღონისძიებათა მიხედვით გაცილებით მეტი არის საჭირო, ვიდრე ეს ადგილობრივი ბიუჯეტის შესაძლებლობებია.

ამასთან, დეცენტრალიზაციის ფარგლებში, მომავალი წლების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს უფრო მზარდი ფინანსური ბაზა ექნება, რაც უზრუნველყოფს უფრო სრულყოფილად იქნეს გათვალისწინებული და გადაჭრილი მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებები და პრობლემები.

❖ ინფრასტრუქტურის განვითარება;

- რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსებული პროექტები:

2018 წელს რეგიონული განვითარების ფონდიდან გამოყოფილ იქნა 7332.0 ათასი ლარი.

თანადაფინანსებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო 3312,0 ათასი ლარი; სულ დაფინანსდა 2018 წელს 29 პროექტი; ჯამში ყველა პროექტის ღირებულებამ შეადგინა 10584,372ლარი;

მათ შორის შემდეგი პროექტების დასაფინანსებლად:

- გზების რეაბილიტაცია- 7653530 ლარი;
- მრავალბინიანი ეზოების კეთილმოწყობა- 509311 ლარი
- ყინულის მოედნის რეაბილიტაცია- 407846 ლარი
- საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია-617986 ლარი
- სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია-441735 ლარი;
- ჭადრაკის სასახლის რეაბილიტაცია-490780 ლარი;
- წყალმომარაგება-425490 ლარი;

სულ განხორციელებული პროექტების მოსარგებლე არის 62433 ადამიანი.

ა) გზების რეაბილიტაცია:

- კოკი-ორსანტიას დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (მესამე ეტაპი); პროექტის მთლიანმა ღირებულებამ 572507 ლარი შეადგინა.სამუშაოები დასრულებულია;
- დიდინების ადმინისტრაციულ ერთეულში დიდინები-კახათის გზა (მეორე ეტაპი). პროექტის მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა 777050 ლარი; სამუშაოები დასრულებულია;
- დარჩელის ადმინისტრაციულ ერთეულში დარჩელი-ორსანტიას დამაკავშირებელი გზა (მეორე ეტაპი), პროექტის მთლიანი ღირებულება 716559 ლარია. სამუშაოები დასრულებულია;
- ტყაიას ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრალური საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (მესამე ეტაპი). პროექტის მთლიანი ღირებულება 185560 ლარი; სამუშაოები დასრულებულია;

- ცაიშისა და ცაცხვის ადმინისტრაციულ ერთეულებში (კურორტის მონაკვეთი) საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, პროექტის მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა 432219 ლარი; სამუშაოები დასრულებულია;
- ნაცატუს ადმინისტრაციულ ერთეულში, ზუგდიდი-წალენჯიხის ცენტრალური გზიდან, ნაცატუს მიმართულებით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საზღვრამდე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. პროექტის მთლიანი ღირებულება 202995 ლარი; სამუშაოები დასრულებულია;
- ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში კოსტავას ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. პროექტის ღირებულება 245000 ლარი, სამუშაოები დასრულებულია;
- ახალაბასთუმანის ადმინისტრაციულ ერთეულში, ცენტრთან დამაკავშირებელი გზის მონაკვეთის (წერეთლის ქუჩის) რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი). პროექტის ღირებულება 277157 ლარი, სამუშაოების ძირითადი ნაწილი დასრულებულია.
- ოქტომბერის ადმინისტრაციულ ერთეულში, ოქტომბერის ცენტრიდან, ყოფილი პროფტექნიკური სასწავლებლის, ახალკახათის გავლით (ზუგდიდი-ანაკლიის საავტომობილო გზამდე), საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, თანხა 329998 ლარი სამუშაოების ძირითადი ნაწილი დასრულებულია,
- ჩხორიას ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრალური საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი). პროექტის ღირებულება 250000 ლარი, სამუშაოების ძირითადი ნაწილი დასრულებულია,
- ინგირის ადმინისტრაციულ ერთეულში ჭავჭავაძისა და ტაბიძის ქუჩის დამაკავშირებელი გზის მოწყობა, პროექტის ღირებულება 157522 ლარი, სამუშაოები დასრულებულია,
- ოფაჩხაფუს ადმინისტრაციულ ერთეულში, ნარაზენის ცენტრალური გზიდან ოფაჩხაფუს ცენტრამდე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. პროექტის მთლიანი ღირებულება 178540 ლარი; სამუშაოები დასრულებულია;
- დარჩელის ადმინისტრაციულ ერთეულში ი. ჭავჭავაძისა და თბილისის ქუჩებზე გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 613423 ლარი, სამუშაოები დასრულებულია.
- ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრიდან N1 სასაფლაომდე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი). პროექტის მთლიანი ღირებულება 250000 ლარი. სამუშაოები დასრულებულია;
- ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში კოსტავას ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, პროექტის მთლიანი ღირებულება 365000 ლარი, სამუშაოები დასრულებულია;
- ალერტკარის (ყოფ. გრიგოლიში) ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (ალერტკარის ცენტრიდან ზუგდიდი-ყულიშკარის საავტომობილო გზამდე. მეორე ეტაპი), პროექტის ღირებულება 400000 ლარი, სამუშაოები მიმდინარეობს.
- ოქტომბერის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. ოქტომბერის ცენტრიდან, ყოფილი პროფტექნიკური სასწავლებლის, სოფ. ახალკახათის გავლით (ზუგდიდი-ანაკლიის საავტომობილო გზამდე), საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (მესამე ეტაპი). პროექტის ღირებულება 400000 ლარი.

- ნარაზენის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. ნარაზენის გზიდან საბეჭვაიოს უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 200000 ლარი;
- ნარაზენი-შამადელას დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 400000 ლარი;
- ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრიდან N1 სასაფლაომდე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 300000 ლარი
- ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფლის ცენტრამდე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი), პროექტის ღირებულება 300000 ლარი
- ზედაეწერის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფლის ცენტრში საავტომობილო გზის ასფალტის საფარის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 100000 ლარი. სამუშაოები დასრულდა.

ბ) წყალმომარაგება

- ყულიშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია (მესამე ეტაპი), პროექტის მთლიანი ღირებულება 289143 ლარი; სამუშაოები დასრულებულია;
- აბასთუმანის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების მოწყობის დამატებითი სამუშაოები, პროექტის ღირებულება 127347 ლარი, სამუშაოები დასრულებულია;

გ) საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია:

- ქალაქის N2 საბავშვო ბაღის მშენებლობა, პროექტის ღირებულება (პირველი ეტაპი) 617986 ლარი; სამუშაოები მიმდინარეობს, დასრულების თარიღი 14.06.2019 წ.

დ) კულტურისა და სპორტის ობიექტები:

- ქალაქში საჭადრაკო სკოლის შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 490780 ლარი; სამუშაოები უნდა დასრულდეს 25.12.2018 წელს.
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არსებული ყინულის მოედნის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 407846 ლარი. სამუშაოები მიმდინარეობს.

ე) სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია:

- ქ. ზუგდიდის თეთრი გიორგის ქუჩის II შესახვევში, ღია ტიპის სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა. პროექტის ღირებულება 37822 ლარი; სამუშაოები დასრულებულია;
- ქ. ზუგდიდის ლომოურისა და რიგის ქუჩებზე, ღია და დახურული ტიპის სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების თანხა 66070 ლარი, სამუშაოები დასრულებულია;
- ქ. ზუგდიდის შენგელიას ქუჩაზე სანიაღვრე წყალსაწრეტი სისტემის მოწყობა-მოწესრიგების სამუშაოები, პროექტის ღირებულება 25162 ლარი. სამუშაოები დასრულებულია;

- ქ. ზუგდიდის მოსაშვილის ქუჩაზე ეზოს კეთილმოწყობა. პროექტის ღირებულება 138598 ლარი, სამუშაოები მიმდინარეობს, დასრულების თარიღი 30.11.2018.
- ქ. ზუგდიდის ბერიას ქუჩაზე სანიაღვრე წყალსაწრეტი სისტემის მოწყობა-მოწესრიგების სამუშაოები. პროექტის ღირებულება 174083 ლარი, სამუშაოები მიმდინარეობს;

ვ) მრავალბინიანი ეზოების კეთილმოწყობა:

- ქ. ზუგდიდის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების (ლევან II დადიანის ქ. №2 და №4) კეთილმოწყობის სამუშაოები. პროექტის ღირებულება 212570 ლარი. მიმდინარეობს სამუშაოები, დასრულების თარიღი 26.07.2018.
- ქ. ზუგდიდის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების (ქუჯის ქ. №10) კეთილმოწყობის სამუშაოები, პროექტის ღირებულება 97408 ლარი. სამუშაოები დასრულებულია.
- ქ. ზუგდიდის ზვ. გამსახურდიას გამზ. #31-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები, პროექტის ღირებულება 32018 ლარი, სამუშაოები დასრულებულია.
- ქ. ზუგდიდის ზვ. გამსახურდიას გამზირზე N23 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები. პროექტის ღირებულება 25873 ლარი, სამუშაოები დასრულებულია.
- ქ. ზუგდიდის კოსტავას ქუჩაზე N5 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები, პროექტის ღირებულება 49671 ლარი, სამუშაოები დასრულებულია.
- ქ. ზუგდიდის კოსტავას ქუჩაზე N7 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები, პროექტის ღირებულება 49653 ლარი, სამუშაოები დასრულებულია.
- ქ. ზუგდიდის თაბუკაშვილის ქუჩა N1 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები. პროექტის ღირებულება 42118 ლარი, სამუშაოები დასრულებულია.

▪ საქართველოს სახელწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტების ღირებულება:

სტიქიის შედეგების რეაბილიტაციისათვის გამოიყო 600,0 ათასი ლარი; (აღნიშნული ფონდი მიმართული იქნება სტიქიის მიერ დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების რეაბილიტაციისათვის):

აღსანიშნავია, რომ:

- საანგარიშო პერიოდში კიდევ უფრო დაიხვეწა ინფრასტრუქტურული პროექტების მომზადების ორგანიზება, პროგრამის განსახორციელებლად დასკვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება.
- შედგენილ იქნა საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი 2018-2019-2020-2021 წლების ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმა;

- აღნიშნული პროექტები მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა საკრებულოს სხდომაზე;
- აღნიშნული პროექტებიდან ზუგდიდის სამხარეო ადმინისტრაციას წარედგინა გარკვეული პროექტები საკონსულტაციო საბჭოზე დასამტკიცებლად;
- შესყიდვების განხორციელების შედეგად, შედგენილ იქნა საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც წარდგენილი იქნა საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს სახელმწიფო კომისიაზე,
- პროექტები წარდგენილ იქნა მუნიციპალური განვითარების ფონდში:
- პროექტების შედგენის საფუძველი გახდა მოსახლეობიდან შემოსული განცხადებები, ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლის მოხსენებითი ბარათი, კრების ოქმები, შესაბამისი უწყებიდან შემოსული წერილები, რომელიც კანონის შესაბამისობაში იქნა მოყვანილი;
- სოფლის რწმუნებულების ჩართულობით დადგინდა კონკრეტული პროექტების მოსარგებლებების რაოდენობა;
- დაზუსტებულ იქნა პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი დადებითი შედეგები, დადგინდა ინდიკატორები;

გასულ წლებში დასრულდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ნეო“ -სთან პროექტები, მიმდინარე წელს არასამთავრობო ორგანიზაცია „ზრდა“-სთან განვაახლეთ მუშაობა. მომზადებულია ჩხორის ადმინისტრაციული ერთეულის წყალმომარაგების პროექტი.

ადგილობრივი ბიუჯეტის რესურსების გამოყენება:

განხორციელდა შიდა გზების რეაბილიტაცია (მოხრემვა და ორმული შეკეთება) ღირებულებით 761460 ლარი:

სულ მოხრემვის შედეგად რეაბილიტირებულ იქნა შიდა გზები 67 კმ-ის ოდენობით 12 ადმინისტრაციულ ერთეულში, ხოლო ორმული შეკეთებით რეაბილიტირებულ იქნა შიდა გზები სულ 18-კმ-ის ოდენობით.

გ) რეაბილიტაცია ჩაუტარდა 12 ერთეულ ხიდსა და ხიდ-ბოგირს, თანხით 100,0 ათასი ლარი:

- აბასთუმანის ადმინისტრაციულ ერთეულში, საკუტალიოს უბნის ცენტრიდან დამაკავშირებელ გზაზე ხიდ-ბოგირის მოწყობა;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ალერტკარის (ყოფ. გრიგოლიში) ადმინისტრაციულ ერთეულში, საკიკალიშვილოს უბანში, საფეხმავლო ხიდის მოწყობის სამუშაოები;
- და სხვა ხიდ-ბოგირები;

დ) წყალმომარაგების სამუშაოები;

- ჭაქვიწიხის ადმინისტრაციულ ერთეულში ბაღმარანის უბანში, აჭარლების დასახლებაში, წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, კურორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, შამუგეების უბანში რუსთაველისა და

თბილისის ქუჩების კვეთაზე არსებული 9,5 მ. სიღრმის სარეზერვო ჭიდან მოსახლეობის წყალმომარაგების სამუშაოები;

- რუხის ერთ-ერთი უბნის წყალმომარაგების პროექტი;

ე) გარე განათება

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნარაზენის ადმინისტრაციულ ერთეულში ლომიას ქუჩაზე (1 ეტაპი თბილისის ქუჩა) გარე განათების მოწყობის სამუშაოები;

ვ) სანიაღვრე სისტემების მოწყობა:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, ეკლესიის გზაზე, მონოლითური რკ/ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულში (ავთანდილ შენგელიას სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე), რკ/ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცაცხვის ადმინისტრაციულ ერთეულში მერაბ კოსტავას ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცაცხვის ადმინისტრაციულ ერთეულში, გამსახურდიას ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, ცენტრიდან N1 სასაფლაომდე საავტომობილო გზაზე მონოლითური რკ/ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში N1 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე სანიაღვრე არხის მოწყობა;

2018 წელს გაგრძელდება წყალმომარაგებისა და წყალარინების პროექტები:

- **ზუგდიდის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა** - პროექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 94 135 806,48 ლარს. სასმელი წყლის სისტემების მშენებლობის პროექტი მოიცავს 9 ჭაბურღილის მოწყობას, საქაჩი სადგურის მშენებლობას და 297 კმ. ახალი წყალმომარაგების სისტემის მშენებლობას.
- **ზუგდიდის წყალარინების ქსელების რეაბილიტაცია** - პროექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 84 914 790 ლარს. წყალარინების პროექტი მოიცავს 178 კმ. საკანალიზაციო ქსელისა და 23 საქაჩი სადგურის მშენებლობას.
- **ზუგდიდის წყალარინების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა** - პროექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 42 369 454, ლარს. პროექტები დასრულდება 2019 წელს. აღნიშნული პროექტები ფინანსირდება მსოფლიო ბანკის მეშვეობით;
- 2018-2019 წელს გათვალისწინებულია დადიანისეული ბოტანიკური ბაღის სრული რეაბილიტაცია, აღნიშნული პროექტი ხორციელდება მუნიციპალური განვითარების ფონდთან თანადაფინანსებით, სამუშაოების ღირებულება შეადგენს 12 მილიონ ლარს.
- **შედგენილია პროექტი და გადაცემულია მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის, აფხაზეთის გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლებში გზის რეაბილიტაციის თაობაზე, რომლის საერთო სიგრძეა 10 კმ და ღირებულება შეადგენს 3 400 000,0 ლარს.**
- მიმდინარეობს პროექტირებაურთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც ლეპეტერეს წყაროს ბაზაზე შესაძლებელია მოეწყოს ურთა, ცაცხვი, ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულებში

მცხოვრები მოსახლეობისათვის წყალმომარაგების ქსელი, პროექტის სავარაუდო ღირებულებაა 700,0 ათასი ლარი. ურთის ადმინისტრაციულ ერთეულში ზემოაღნიშნული ქსელი მოემსახურება დაახლოებით 1000 ბენეფიციარს; ცაცხვის ადმინისტრაციულ ერთეულში მოემსახურება დაახლოებით 2000 ბენეფიციარს; ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში მოემსახურება დაახლოებით 3200 ბენეფიციარს.

- შედგენილი გვაქვს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განაშენიანების გენერალური გეგმა და მიმდინარეობს მისი დაზუსტება.
- იგეგმება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში განთავსებული საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- 2018-2019 წელს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოებს.
- გაუმჯობესდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა.
- დაგეგმილი გვაქვს სკვერების მოწყობა, ასევე ტროტუარებისა და პარკების კეთილმოწყობა.

აქვე უნდა აღვნიშნო ის ძირითადი პრობლემები, რომელთა გადაწვეტა შეუძლებელია საკუთარი ძალებით:

ზუგდიდში ამჟამად საგზაო ინფრასტრუქტურა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია შემდეგი მიზეზების გამო:

მიმდინარე კანალიზაცია - წყალმომარაგების პროექტების შესრულების შედეგად ძლიერ დაზიანდა გზის საფარი, საჭიროა თანმიმდევრობით განხორციელდეს აღნიშნული გზების რეაბილიტაცია, სავარაუდოდ ქალაქის ყველა გზის რეაბილიტაციას სჭირდება 22 მილიონი ლარი. საჭირო გახდება დაფინანსების ყველა წყაროს მობილიზაცია, რადგან მოსახლეობას არ შეექმნას დისკომფორტი სავალ გზასთან დაკავშირებით. აჟამად მიმდინარეობს დაზიანებული გზების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.

უნდა გამოიყოს მინიმალური თანხები მაინც ძირითადი გზების რეაბილიტაციისათვის.

ჩვენი მისია განსაზღვრული გვაქვს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან განვითარების დოკუმენტში, რომელსაც უკვე ჩაეყარა საფუძველი და ეს არის:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;
- ეკონომიკის, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის მიმზიდველი, ხელშემწყობი საინვესტიციო გარემოს შექმნა;
- მუნიციპალიტეტის მართვაში მოსახლეობის ჩართულობის გაძლიერება;
- მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობათა გაზრდა;
- ხარისხიანი და მრავალფეროვანი მომსახურების გაწევა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი უნდა გახდეს მოწესრიგებული ინფრასტრუქტურის, მზარდი ეკონომიკის და ყოველწლიური განვითარების პერსპექტივის მქონე მუნიციპალიტეტი.

❖ განათლების ხელშეწყობა:

- საჯარო სკოლების ფინანსური მხარდაჭერა:

პროგრამის მიზანი იყო:

საჯარო სკოლების ფინანსური ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და სხვა აუცილებელი სახელმწიფო პროგრამით დაუფინანსებელი ხარჯების გაწევა.

მიღწეული დადებითი შედეგები:

საჯარო სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

➤ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას, საჯარო სკოლების ფინანსური ხელშეწყობისა და რეაბილიტაციისათვის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი აქვს 236.6 ათასი ლარი. ფაქტიური ხარჯი შეადგენს 181.8 ათასი ლარს, რომელიც გადანაწილებულია სხვადასხვა სკოლებში პროექტების განხორციელებისათვის მათი მოთხოვნის შესაბამისად, კერძოდ:

საანგარიშო პერიოდში საჯარო სკოლების ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი პროექტები:

1. ქ. ზუგდიდის N1 საჯარო სკოლა-მინი სტადიონის რეაბილიტაცია თანადაფინანსებით 32 000 ლარი.
2. ქ. ზუგდიდის N2 საჯარო სკოლა-სკოლის სააქტო დარბაზის რეაბილიტაცია თანადაფინანსებით 4948,02 ლარი.
3. ქ. ზუგდიდის N6 საჯარო სკოლა-რესურს ოთახის რეაბილიტაცია -1740,96 ლარი.
4. კახათის N1 საჯარო სკოლა-სკოლის მესამე სართულის დერეფნის რეაბილიტაცია თანადაფინანსებით 8001.00 ლარი.
5. სოფ. ოდიშის N2 საჯარო სკოლა-სკოლის მეორე სართულის დერეფნის რეაბილიტაცია თანადაფინანსებით 8000 ლარი.
6. სოფ. დიდინემის საჯარო სკოლა-სკოლის პირველი სართულის რეაბილიტაცია თანადაფინანსებით 4491,16 ლარი.
7. სოფ. რუხის საჯარო სკოლა-საკლასო ოთახების რეაბილიტაცია თანადაფინანსებით 4709,28 ლარი.
8. სოფ. ახალბასთუმანის საჯარო სკოლა-საკლასო ოთახების რეაბილიტაცია თანადაფინანსებით 5000 ლარი.
9. სოფ. ალერტკარის საჯარო სკოლა-სკოლის სპორტდარბაზის ბეტონის საფარის დაგება თანადაფინანსებით 7963,35 ლარი.
10. სოფ. ერგეტას საჯარო სკოლა-შშმ მოსწავლეებისთვის რესურს ოთახის რეაბილიტაცია ღირებულებით 4918,97 ლარი.
11. სოფ. ჭითაწყარის (ონარიის) საჯარო სკოლა-სკოლის სააქტო დარბაზის რეაბილიტაცია ღირებულებით 4982,47 ლარი.
12. სოფ. კახათის N2 საჯარო სკოლა-სკოლის შიდა ელ.გაყვანლობის სამუშაოების თანადაფინანსება 7000 ლარი.
13. სარეზერვო ფონდიდან საჯარო სკოლების ფინანსური ხელშეწყობის კუთხით გაიხარჯა ჯამში 14600 ლარი.

სხვადასხვა ღონისძიებებში გაიხარჯა სულ 51 075 ლარი.

- განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მერის სტიპენდია მიენიჭა 22 სტუდენტს-ჯამში 14850 ლარის ოდენობით.
- 12 სტუდენტს დაუფინანსდა უცხოეთში მგზავრობის ხარჯი-ჯამში 15678.91 ლარის ოდენობით.
- სკოლამდელი აღზრდის განათლების ხელშეწყობის პროგრამა:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 62 ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 4025 -მდე ბავშვი, აღმზრდელ-პედაგოგთა (აღმზრდელი) რაოდენობა შეადგენს- 152-ს, ხოლო აღმზრდელთა (შემცვლელ მასწავლებელი) რაოდენობა კი-154-ს.

- სკოლამდელი აღზრდის განათლების ხელშეწყობის პროგრამისთვის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულების ცენტრ“ ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოეყო-4940.0 ათასი ლარი.

პროგრამის მიზანი იყო:

- სკოლამდელი განათლების დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესება. სასკოლო პროგრამის დასაძლევად სათანადოდ მომზადებული ბავშვები, არსებული სკოლამდელი დაწესებულებების ბაზის მოვლა-პატრონობა და შევსება. სკოლამდელი დაწესებულებების შენობა-ნაგებობათა მონიტორინგი, სკოლამდელი ასაკის ბავშვების განათლების ხარისხის, ფინანსური უზრუნველყოფა.

მიღწეული დადებითი შედეგები:

- სკოლამდელი აღზრდელი 6 წლის ასაკისათვის ბავშვთა განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა სოციალურ-ემოციური, ჯანმრთელობის, შემეცნებითი, მეტყველების განვითარებისათვის.
- აღნიშნულ პერიოდში გაიზარდა ბავშვთა კონტიგენტი.

❖ კულტურის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის განვითარების ხელშეწყობა;

- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი იყო 294.0 ათასი ლარი, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 210.8 ათასი ლარი, რისთვისაც განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- იონა მეუნარგიას ბიუსტის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო არსებული სკვერი და პანო „ვეფხისტყაოსნის“ თემატიკით. შესრულებული კომპოზიციით ხაზი გაესვა იონა მეუნარგიას ღვაწლს, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ ენაზე პირველად მთარგმნელის მნიშვნელობას. პროექტის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა-19994,12 (ცხრამეტიათას ცხრაას ოთხმოცდათოთხმეტი ლარი და თორმეტი თეთრი) ლარი.
- „კოლხური ბრინჯაოს კულტურის“ პოპულარიზების მიზნით, დადიანების სასახლეთა-ისტორიულ არქიტექტურული მუზეუმის ეზოში დაიდგა ძველი წელთაღრიცხვის VIII-VII

საუკუნეებით დათარიღებული, ნაყოფიერების ქალღმერთის, მხედარი ქალის ქანდაკება. პროექტის ღირებულებაა - 20900.10 (ოცი ათას ცხრაასი ლარიდა ათი თეთრი) ლარი

- სოფ. კორცხელის სამონასტრო კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა 49 989.80 (ორმოცდაცხრა ათას ცხრაასოთხმოცდაცხრა ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარით.
- განხორციელდა პროექტი „ფოტო გამოფენა საგანძური“, რომლის ფარგლებში მოეწყო, საქართველოს ეროვნული მუზეუმში ქართული ქრისტიანული ხელოვნების ნიმუშების ნატურალური ზომების დაცვით შესრულებული საგანძურის კოლექციის ფოტო-ექსპოზიცია. პროექტის ღირებულებამ შეადგინა -2850 (ორიათასრვაასორმოცდაათი) ლარი.
- გამოიცა წიგნი ალბომი - „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობა - გამოყენებითი ხელოვნების და ხალხური რეწვის ოსტატების“ შემოქმედება. პროექტის ღირებულებაა 1925 (ათასცხრაასოცდახუთი) ლარი.
- მოსწავლე-ახალგაზრდებს შორის მოეწყო შემეცნებითი კონკურსი-პროექტი „ნორჩი მკვლევარი 2018“, ასევე მოსწავლე ახალგაზრდებს შორის ჩატარდა ვიქტორინა კონკურსი „ვიცნობდეთ ჩვენი კუთხის ისტორიას“, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 4954.2 (ოთხი ათას ცხრაას ორმოცდაათოთხმეტი ლარი და ოცი თეთრი) ლარი.
- საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიას თანადაფინანსების სახით ჩაერიცხა 100 000 (ასიათას) ლარი, რომელიც მოხმარდა ზუგდიდის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობას.
- 28-29-30 სექტემბერს მოეწყო კავკასიელ ხალხთა (ყაზარდოელები, ჩერქეზ-ადიღეელები, ინგუშები, ჩეჩნები, დაღესტნელები, აბაზები და სხვ.) მეორე საერთაშორისო ფოლკლორულ ლიტერატურული ფესტივალი „ანაკლია 2018“- პროექტის ღირებულებამ შეადგინა 9705 (ცხრაათასშვიდასხუთი) ლარი, აქედან, სასტუმრომომსახურება 8365 ლარი, სატრანსპორტომომსახურება 1340 ლარი.

- მოსწავლე ახალგაზრდობის განვითარების პროგრამის ხელშეწყობისათვის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მოსწავლე ახალგაზრდობის განვითარების სასახლე“ ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა 900000 ლარით, ხოლო საკუთარი შემოსავლები დაიგეგმა 181700 ლარის ოდენობით.

პროგრამის ძირითადი მიზანია:

- სკოლის გარეშე საადმინისტრაციო-საგანმანათლებლო და ესთეტიკური მუშაობის წარმართვა, მოზარდი თაობის თავისუფალი დროის სწორი ორგანიზება, შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა, მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევების ათვისებისათვის პრაქტიკული და თეორიული მუშაობის წარმართვა, საყმაწვილო ჟურნალისტიკის განვითარება. ხელოვნების სხვადასხვა დარგის მაღალპროფესიულ დონეზე სწავლება და პოპულარიზაცია.

მიღწეული დადებითი შედეგები:

- განვითარდა მოსწავლეთა ინტელექტუალური დონე, ჩამოუყალიბდათ კომუნიკაციისა და გუნდური თანამშრომლობის უნარ-ჩვევები; მოხდა მათი გემოვნებისა და ესთეტიკური ხედვის დახვეწა, ამაღლდა მოსწავლეებში ზოგადი განათლება.

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ მიმდინარე წელს ჩატარა სხვადასხვა სახის კულტურული თუ შემეცნებითი ღონისძიებები:

საანგარიშო პერიოდში კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოიყო 191.1 ათასი ლარი. ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 142 201, 78 ათასი ლარი.

- **საახალწლო და საშობაო ღონისძიებები**- 19 დეკემბერს საზეიმოდ გაიხსნა ქალაქის მთავარი ნაძვის ხე. სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახებისა და შშმ ბავშვებისთვის გაიმართა მიღება მერიაში, საღამოს ქალაქის ცენტრალურ პარკში(სკეიტპარკი)გაიმართა გალა კონცერტი. **ბიუჯეტი 3 995 ლარი.**
- **საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების დღე**- ამ დღესთან დაკავშირებით ყვავილებით შეიმკო ქალაქ ზუგდიდში ცენტრალურ ბულვარში ზვიად გამსახურდიას ძეგლი. **ბიუჯეტი 100 ლარი.**
- **„ვიცეკვოთ ქართულად“** -საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის ორგანიზებულ ფესტივალზე „ვიცეკვოთ ერთად“ მონაწილეობისთვის ახალკახათის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ ანსამბლს „ყილოშტყებამი“ ქალაქ თბილისში გაეწია ტრანსპორტით მომსახურება. **ბიუჯეტი 1 100 ლარი.**
- **“მარტის თვეა შენი“**- დედისადაქალთადღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სხვადასხვა სფეროს დამსახურებული ქალბატონების დაჯილდოება და „ქუჩის მუსიკოსების“ კონცერტი. **ბიუჯეტი 17 611,50 ლარი.**
- **21 მარტი- ქართული ჟურნალისტიკის დღე**-გაიმართა მიღება მერიის დარბაზში. მედიის წარმომადგენლებს გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები. **ბიუჯეტი 2060,45 ლარი.**
- **31 მარტი- პირველი ქართული რეფერენდუმისა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე.** მერიის ინიციატივით პროექტ „ლიტერატურული საღამოების“ ფარგლებში გაიმართა როსტომ ჩხეიძის წიგნის „მენი მუსიკის, მენი ქარიშხლის“ პრეზენტაცია. **ბიუჯეტი 454,20 ლარი.**
- საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და **9 აპრილის** ტრადიციის დღე-მოკლე მხატვრული პროგრამა ქალაქის ცენტრში მდებარე 9 აპრილის მემორიალთან. **ბიუჯეტი 100 ლარი.**
- **ზუგდიდის თეატრის იუბილე**-მიმდინარე წელს ზუგდიდის სახელმწიფო თეატრის 150 წლის იუბილე აღინიშნა. ამ მნიშვნელოვან თარიღს თეატრი პრემიერით შეხვდა. მათ მერიისგან გადაეცათ მერის მილოცვა და ყვავილების თაიგული. **ბიუჯეტი 100 ლარი.**
- **14 აპრილი - დედაენის დღე**-იაკობ გოგებაშვილის ბიუსტი შეიმკო გვირგვინით, საჯარო სკოლის პირველკლასელებმა წარმოადგინეს იაკობის შემოქმედება, ხოლო მოგვიანებით გაიმართა ფილმის „ექვთიმე ღვთისკაცი“ ჩვენება. **ბიუჯეტი 357 ლარი.**
- **26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღე და საქართველოს პირველი რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლის იუბილე**-მიმდინარე წლის 26 მაისს 100 წელი შესრულდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის დაარსებიდან. შესაბამისად, ეს დღე მთელ საქართველოში განსაკუთრებულად აღინიშნა. მათ შორის, ჩვენს ქალაქში. ეს იყო ყველაზე მასშტაბური, გრანდიოზული დღესასწაული ზუგდიდში. რომელმაც მოიცვა მთელი ქალაქი. გაიმართა: გამოფენები, კონცერტები, თეატრალიზებული წარმოდგენები, მეგრული გასტრონომიის და ეთნოგრაფიის კუთხეები, „ცოცხალი წიგნები“, საბავშვო გასართობი და სპორტული კუთხეები. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე მთელი დღის განმავლობაში სხვადასხვა შემსრულებლების კონცერტები და სხვა. **ბიუჯეტი 64 528,63 ლარი.**
- **ზუგდიდის ბიბლიოთეკის დღე** - ზუგდიდის ბიბლიოთეკას საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. ამიტომაც, მუნიციპალიტეტი მუდმივად ცდილობს, ბიბლიოთეკის დაარსების დღე განსაკუთრებულად აღნიშნოს. ამ დღეს, ტრადიციულად რამდენიმე ღვაწლმოსილ ბიბლიოთეკარს გადაეცემა მერიის მადლობის სიგელი და სამახსოვრო საჩუქრები. **ბიუჯეტი 1 595,50 ლარი.**

- **1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე** - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ ბავშვებისთვის მოაწყო გასართობი ატრაქციონები, რომელიც მთელი დღის განმავლობაში დატვირთული იყო სხვადასხვა აქტივობებით. ასევე ყველა მსურველისთვის დარიგდა საბავშვო ჟურნალი „ზღაპრები“ და სხვადასხვა სახეობის ნაყინი. **ბიუჯეტი 11 345,00 ლარი.**
- **17 ივნისი - „ვეფხისტყაოსნის საჯარო კითხვის დღე“**-უკვე მერამდენე წელია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ბიბლიოთეკების მართვის ცენტრთან“ და ა(ა)იპ „მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე“-სთან ერთად მართავს ვეფხისტყაოსნის საჯარო კითხვას იონა მეუნარგიას სკვერში. **ბიუჯეტი 40 ლარი.**
- **ანსამბლი „ივერია“-ს საიუბილეო კონცერტი**-საქართველოში ყველაზე ტიტულოვანი ანსამბლი „ივერია“ ნახევარსაუკუნოვან იუბილეს აღნიშნავს და ამიტომაც მთელ საქართველოში მართავს კონცერტებს. ამ საღამოების პირველი კონცერტი ზუგდიდში გაიმართა. ეს იყო მერიის საჩუქარი ზუგდიდის მოსახლეობას, რომელსაც მერიის ინიციატივით ესწრებოდნენ სოციალური სახლის ბენეფიციარებიც. **ბიუჯეტი 9 375,00 ლარი.**
- **„ვლაქერნობა“** - ზუგდიდის სინამდვილეში საერო-სახალხო დღესასწაული „ვლაქერნობა“ არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღე. ყოველწლიურად, 15 ივლისს, „ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის პატიოსანი სამოსელის დადების“ დღესასწაულზე ზუგდიდში თავს იყრის მომლოცველ-პილიგრიმები მთელი საქართველოდან და უცხოეთიდან. მიმდინარე წელს check-in Georgia-ს ფარგლებში გაიმართა „ქართული ხმებისა“ და „თბილისის ზიგ ბენდის“ კონცერტი, ასევე შედგა დოკუმენტური ფილმის „სიმონიკა დადიანის დაბრუნება საქართველოში“ პრეზენტაცია. **ბიუჯეტი 20 000 ლარი.**
- **„თაფლის ფესტივალი“**-მიმდინარე წლის 31 ივლისს, ზუგდიდში პირველად გაიმართა „თაფლის ფესტივალი“, რომლის მიზანიმცირედსაშუალობიზნესისხელშეწყობადათაფლისწარმოების, როგორცდარგობრივიმიმართულებისპოპულარიზაცია იყო. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ორმოცდაათამდე ადგილობრივმა მეწარმემ, ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა გიგი ადამაშვილმა, იქვე საგანგებოდ გამოყოფილ სივრცეში გაიმართა ზუგდიდის სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნახატების თემატური გამოფენა. **ბიუჯეტი 4192 ლარი.**
- **8 აგვისტო** - 2018 წელს რუსეთ-საქართველოს ომიდან 10 წელი შესრულდა. ამ დღესთან დაკავშირებით 7 აგვისტოს ქალაქის ცენტრალურ პარკში (სკეიტ-პარკი) დაიდგა მემორიალური დაფა, ზუგდიდიდან აგვისტოს ომში დაღუპული ოთხი ახალგაზრდის ხსოვნის პატივსაცემად. იქვე, მერიის კულტურის განყოფილების ორგანიზებით მოეწყო მდუმარე აქცია, სანთლებით და ფრანებით. ღონისძიებაში შსს დაცვის სამსახურის წარმომადგენლებმაც მიიღეს მონაწილეობა. **ბიუჯეტი 270 ლარი.**
- **31 აგვისტო-1 სექტემბერი** ქალაქის ცენტრალურ პარკში (სკეიტ-პარკი) მერიის ხელშეწყობით გაიმართა „აჯიკის ფესტივალი“.
- **6 სექტემბერი** - 1924 წლის აჯანყებაში მონაწილე მსხვერპლთა ხსოვნის დღე. **ბიუჯეტი 100 ლარი.**
- **7 სექტემბერი**- კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციის მიზნით ახალგაზრდა, ცნობილმაპიანისტმა დავით ალადაშვილმა და კომპანია „მაგთი“-მ წარმოადგინა პროექტი „პიანინო“, რომელიც მერიის ხელშეწყობით რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში მდ. ენგურის ხიდზე და დადიანების სასახლის ეზოში გაიმართა.
- **16 სექტემბერი** - ანსამბლის „რუსთავი“ საიუბილეო კონცერტი ქალაქ ზუგდიდში. **ბიუჯეტი 1061,50 ლარი.**

- **22 სექტემბერი** - მერიის ხელშეწყობით ზუგდიდის ცენტრალურ პარკში(სკეიტ-პარკი) გაიმართა გერმანული როკ-ჯგუფის „BRAINWASHED“ კონცერტი, რომელიც მიმართული იყო ანტინარკოტიკული პროპაგანდისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციისკენ.
- **27 სექტემბერი** - სოხუმის დაცემის დღე. საქართველოს უახლესი ისტორიის ტრაგიკული დღე. ვლადიმერის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში ჩატარდა ომში დაღუპული მამულიშვილების სულის მოსახსენებელი პანაშვიდი, რომელსაც დაესწრნენ მერიის თანამშრომლები. ენგურის ხიდზე მშვიდობისა და მეგობრობის ნიშნად ჰაერში აუშვეს ბუმტები. **ბიუჯეტი 66 ლარი.**
- **თეატრალური უნივერსიტეტის დაფინანსება - ბიუჯეტი 3 750 ლარი.**

- **ახალგაზრდული და გენდერული თანასწორობის პროგრამების დასაფინანსებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო 60.0 ათასი ლარი. ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 52.6 ათასი ლარი. განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:**

- **ექსკურსიები** - (მარტი- ივნისის თვე) - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლის კურსდამთავრებულთათვის და აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლისა და კოლეჯის სტუდენტებისთვის მოეწყო საქართველოს მასშტაბით მდებარე ისტორიულ-კულტურული ძეგლების მონახულება და შემეცნებითი ხასიათის ექსკურსი. **ბიუჯეტი - 31,860 ლარი.**
- **ევროპის დღე** - (მაისი) - ევროპის დღეებთან დაკავშირებით 19 მაისს ევროკავშირთან ერთად მოეწოსკვიტპარკის ტერიტორიაზე ევროპული სოფელი, სადაც ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა სპორტული ღონისძიება და შემეცნებითი აქტივობები გაიმართა.
- **მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდა სხვადასხვა სახის პროექტები და ღონისძიებები:** „გაზაფხული შემოსულა ლენ“, „დედამიწის დღის“ აღნიშვნა, ინტელექტუალურ-საგანმანათლებლო თამაშების მოწყობა, შეხვედრები სკოლისა და უნივერსიტეტის თვითმმართველობების წარმომადგენლებთან, კვლევა ახალგაზრდული საქმიანობების შესახებ და ასევე ორ ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან გაავაფორმეთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის შედეგადაც ერთ შემთხვევაში, ზუგდიდში მოეწყო საზაფხულო სკოლა ხორვატ ახალგაზრდებთან ერთად, ხოლო მეორე შემთხვევაში არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად ჩამოვყალიბეთ მოლაშქრეთა კლუბი.**ბიუჯეტი-11509,15 ლარი.**
- **ახალგაზრდების საერთაშორისო დღე-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 120 მედალოსანი კურსდამთავრებულის წახალისება, ბიუჯეტი-9200.00 ლარი**

- **საბიბლიოთეკო დარგის განვითარების პროგრამის ხელშეწყობისათვის გამოიყო 500 000 ლარი;**

პროგრამისძირითადიმიზანია:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი“ წარმოადგენს საინფორმაციო და საგანმანათლებლო ცენტრს, სასოფლო და საქალაქო ბიბლიოთეკა-ფილიალებთან ერთად ეწევა საინფორმაციო და წიგნით მომსახურებას, უდიდესია ბიბლიოთეკების როლი საზოგადოებისინფორმირებულობის, მეცნიერების, კულტურის, განათლებისადაინტელექტუალურიზრდისსაქმეში.ამიზნითბიბლიოთეკების მართვის ცენტრი ატარებს სხვადასხვაინტელექტუალურ ღონისძიებებს: აწყობს ავტორების შემოქმედებითსალამოებს, ეწევა თანამედროვეშემოქმედიავტორებისპოპულარიზაციას, ატარებს წიგნისკვირეულებს, მართავს მკითხველთა შეხვედრებს ცოცხალ წიგნებთან, სხვადასხვა სახის თემატურ, შემეცნებით ღონისძიებებს, მიღწეული დადებითი შედეგები:

➤ საზოგადოების, განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობის ცნობიერების დონის ამაღლება. წიგნიერების გაზრდა, შემოქმედებითი პოტენციალის ზრდა. საინტერესო მასობრივმა ღონისძიებებმა გაზარდა მკითხველთა რაოდენობა, უფრო პოპულარული გახდა ბიბლიოთეკა და ის იქცა ახალგაზრდობის თავშეყრის ერთ-ერთ საინტერესო ადგილად, სადაც თავიანთი ინიციატივითაც ხშირად მართავენ ღონისძიებებს. ცენტრი ეწევა სამეცნიერო საქმიანობასაც, მუშაობს ადგილობრივი გაზეთების ანალიტიკურ აღწერილობაზე, ამზადებს ზუგდიდის ბიბლიოგრაფიას გამოსაცემად.

• **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრს“ 2018 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოეყო სუბსიდია 960 000 ლარის ოდენობით, ხოლო საკუთარი შემოსავლები დაიგეგმა 60 000 ლარით. ცენტრის მიერ განხორციელდა 48 კულტურული ღონისძიება.**

პროგრამის ძირითადი მიზანია:

➤ ცენტრის ფუნქცია მრავალმხრივია, მისი მიზანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ხელოვნების სხვადასხვა დარგის მაღალპროფესიულ დონეზე კულტურული სივრცის შექმნა. ქართული ფოლკლორის, თეატრალური ხელოვნების, ადგილობრივი მუზეუმების, ზუგდიდელ მხატვართა შემოქმედებითი მუშაობის ხელშეწყობა და განვითარება. ღვაწლმოსილი ხელოვანი ადამიანების წარმოჩენა - პოპულარიზაცია.

მიღწეული დადებითი შედეგები:

➤ მრავალფეროვანი კულტურული ცხოვრების ხელშეწყობა და ახალგაზრდების აღზრდა ეროვნულ ტრადიციებზე. სამემსრულებლო ხელოვნების ამაღლება და საზოგადოების აქტიური ჩართვა შემოქმედებით პროცესებში. მსმენელთა რაოდენობის ზრდა. პარტნიორული ურთიერთობების დამყარება მედიასთან, ადგილობრივ და უცხოურ ორგანიზაციებთან.

• **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების დაფინანსებისთვის გამოყოფილია 51.0 ათასი ლარი, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 43.1 ათასი ლარი. აღნიშნული კუთხით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:**

➤ სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ფარგლებში სატრანსპორტო მომსახურებაზე გაიხარჯა **3 170 ლარი.**

➤ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ საჯარო სკოლებში, საფეხბურთო სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა პროექტი „სახალისო ფეხბურთი“, რომელიც დაფინანსდა **4990 ლარით.**

➤ ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდი „ოდიმის“ ფინანსური ხელშეწყობის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ გამოყო **34 000 ლარი.**

➤ სხვადასხვა სპორტული ღონისძიების ფარგლებში ბრენდირებული მაისურების შესყიდვისათვის გაიხარჯა **925 ლარი.**

• საცხენოსნო კლუბი „ხარება“ დაფინანსდა **36 000 ლარით.**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სპორტის სხვადასხვა სახეობაში ჰყავს 12 საქართველოს ჩემპიონი, ასევე ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონები.

• **სპორტის განვითარების ხელშეწყობისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო 1 280.0 ათასი ლარი.**

პროგრამის ძირითადი მიზანია:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარება და ახალგაზრდები სმაქსიმალური ჩართულობა სპორტის სხვადასხვა სახეობაში. მუნიციპალიტეტის მასშტაბით გუნდების მომზადება და მონაწილეობა საერთაშორისო და ქვეყნის მასშტაბით. მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადება, სპორტის შემდგომი პოპულარიზაცია და სპორტის პროპაგანდისათვის ხელშეწყობა, ასევე სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებისათვის პირობების შექმნა, უზრუნველყოფას სპორტული ობიექტებით, სპორტული ინვენტარით, ტრანსპორტით მომსახურება, სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.

მიღწეული დადებითი შედეგები:

- სპორტული წრეებისა და სექციების მიხედვით ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობის ზრდა. სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარება. თანამედროვე საწვრთნელი პროცესების დანერგვა, სპორტული რეზერვების მომზადების ეფექტური სისტემა.

❖ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფის ხელშეწყობა

- სოციალური დაცვის უზრუნველყოფა:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური პროგრამების 2018 წლის ბიუჯეტი შეადგენს 2 119 000 ლარს. მიმდინარე წელს 9 247 ბენეფიციარის სოციალურ დახმარებაზე და სერვისებზე გაიხარჯა 980 064.57 ლარი. დაფინანსების თანხა პროგრამების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად:

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა - მიმდინარე წლის იანვრის თვიდან დღემდე 250 ბენეფიციარი უზრუნველყოფილ იქნა ცხელი სადილით ყოველდღიურად (გარდა კვირისა), რისთვისაც საანგარიშო პერიოდში გაიხარჯა 80 998.6 ლარი.

ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამით ისარგებლა 56 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 41659 ლარი. კერძოდ:

- 13000 ლარი - მეორე მსოფლიო ომში მონაწილე 9 ვეტერანზე (ყოველთვიურად თითოეულს 200 ლარის ოდენობით).
- 1 200 ლარი - 4 ბენეფიციარზე, გარდაცვლილი ომის მონაწილის ოჯახზე ფინანსური მხარდაჭერის მიზნით (თითოეულს 300 ლარის ოდენობით).
- 1 000 ლარი - გარდაცვლილი ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ზუგდიდის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარის ოჯახზე ფინანსური მხარდაჭერის მიზნით.
- 3 000 ლარი - 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული 3 მეომრის ოჯახზე ფინანსური მხარდაჭერის მიზნით (თითოეულს 1000 ლარის ოდენობით).
- 100 ლარი - 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული მეომრების საფლავების შესამკობად შეძენილი ყვავილების თაიგულებისთვის.
- 11 059 ლარი-ა(ა)იპ „ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ზუგდიდის ვეტერანთა კავშირის“ ფინანსური უზრუნველყოფისთვის.
- 900 ლარი - განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფი ვეტერანის მომვლელობა (ყოველთვიურად 1 ვეტერანს 100 ლარის ოდენობით).

- **300 ლარი** - 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით ყვავილების 6 ცალი გვირგვინის შესამენად.
- **5 000 ლარი** - 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით მეორე მსოფლიო ომის მონაწილე 10 ვეტერანზე (თითოეულს 500 ლარის ოდენობით).
- **5 600 ლარი** - 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით ომის ვეტერანთან გათანაბრებულ 28 პირზე (თითოეულს 200 ლარის ოდენობით).

ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამით ისარგებლა 238 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 91 650 ლარი:

- **27 100 ლარი** - 116 მრავალშვილიანი ოჯახისათვის (თითოეულს 200-500 ლარის ოდენობით).
- **25450 ლარი** - 59 მარტოხელა მშობელზე (ყოველთვიურად თითოეულს 50 ლარის ოდენობით).
- **4 300 ლარი**- დედ-მამით ობოლ 10 ბავშვზე (ყოველთვიურად თითოეულს 50 ლარის ოდენობით).
- **16 800 ლარი** - 21 ბენეფიციარზე, ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით (თითოეულს 800 ლარის ოდენობით).
- **4 000 ლარი** - 8 ბენეფიციარზე, ტყუპის შეძენასთან დაკავშირებით.
- **4 000 ლარი** - 20 ბენეფიციარზე, შვილის შეძენასთან დაკავშირებით (თითოეულს 200 ლარის ოდენობით სოციალურად დაუცველ ადგილობრივ და დევნილ ოჯახებზე პირველი - მეორე შვილის შეძენასთან დაკავშირებით).
- **10 000 ლარი** - სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ონკოლოგიურ ავადმყოფთა სოციალური დაცვის პროგრამით ისარგებლა 1 092 ბენეფიციარმა, რისთვისაც გახარჯულია 204 700 ლარი:

- **50 800 ლარი** - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 508 პირისათვის (თითოეულს 100 ლარის ოდენობით).
- **30600 ლარი** - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 153 ბავშვისათვის (თითოეულს 200 ლარის ოდენობით).
- **4 500 ლარი** - სმენა და მხედველობა დაქვეითებულ 45 პირისათვის (თითოეულს 100 ლარის ოდენობით).
- **54000 ლარი** - შშმ პირთა და ხანდაზმულთა მომვლელისათვის (ყოველთვიურად 62 ბენეფიციარს 100 ლარის ოდენობით).
- **64 800 ლარი** - ონკოლოგიური დაავადების მქონე 324 ბენეფიციარისათვის (თითოეულს 200 ლარის ოდენობით).

მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვის პროგრამით ისარგებლა 317 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 63 400 ლარი (თითოეულს 200 ლარის ოდენობით).

ხანდაზმულთა სოციალური დაცვის პროგრამით ისარგებლა 171 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 18 542.31 ლარი:

- **635066 500 ლარი** - 100 წელს გადაცილებულ 13 ბენეფიციარზე (თითოეულს 500 ლარის ოდენობით).
- **11 400 ლარი** - 57 სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარის ოჯახზე (თითოეულს 200 ლარის ოდენობით).
- **642.31 ლარი** - ხანდაზმულებზე მზრუნველი მობილური ჯგუფისთვის (101 ბენეფიციარი).

სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა -გახარჯულია 35 066 ლარი - აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით მრავალშვილიანი ოჯახების, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანების, დედ-მამით ობოლი ბავშვების, მარტოხელა მშობლების, 100 წელს გადაცილებული ხანდაზმულებისა და უკიდურესად შეჭირვებული ბენეფიციარების სასაჩუქრე პაკეტისათვის (550 ბენეფიციარი).

ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსებისპროგრამით ისარგებლა 5868 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 98 991.20 ლარი:

- 46 200 ლარი - დიალიზის პროგრამაში ჩართულ 58 ბენეფიციარზე (ყოველთვიურად თითოეულს 50-100 ლარის ოდენობით).
- 2 400 ლარი -სოციალურად დაუცველ 24 სტუდენტზე (თითოეულს 100 ლარის ოდენობით).
- 31 500 ლარი-მზრუნველობამოკლებულთა უფასო სასადილოს 154 ბენეფიციარის ტრანსპორტირების ხარჯების ასანაზღაურებლად (ყოველთვიურად თითოეულს 25 ლარის ოდენობით).
- 16 265 ლარი - სოფელ ხურჩის მოსახლეობის მგზავრობის ღირებულების თანადაფინანსებაზე (ყოველთვიურად დაახლოებით 500-დან 700-მდე ბენეფიციარი).
- 2 626.20 ლარი-აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით სასაფლაოების მიმართულებით უფასო ტრანსპორტით მოსახლეობის მომსახურებისთვის.

სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამით ისარგებლა 114 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 79.307.9 ლარი:

- 19 007.9 ლარი - ხანძრისა და სტიქიის შედეგად დაზარალებულ 30 ოჯახზე (თითოეულს 300- 1000 ლარის ფარგლებში).
- 60 300 ლარი - 84 ბენეფიციარის ბინის ქირით უზრუნველყოფისათვის (ყოველთვიურად თითოეულს 100 ლარის ოდენობით).

დევნილთა მხარდაჭერის პროგრამით ისარგებლა განსაკუთრებული საჭიროების მქონე 44 დევნილმა, რისთვისაც გაიხარჯა 4 400 ლარი.

სოციალურად დაუცველი ოჯახების გათბობის საშუალებებით უზრუნველყოფის და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების მატერიალური და ფინანსური დახმარების პროგრამით ისარგებლა 486 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 58 900 ლარი:

- 38 400 ლარი- 384 ბენეფიციარზე, გათბობის საშუალებების შესაძენად (თითოეულს 100 ლარის ოდენობით).
- 20 500 ლარი - კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ 102 ოჯახზე (თითოეულს 100-1000 ლარის ფარგლებში).

უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამიდან გახარჯულია 188 890.64 ლარი - 2017 წლის სახლების მშენებლობისა და „ერთი თბილი ოთახის“ მოწყობაზე. ასევე, გამოცხადდა ტენდერი 2018 წელს შერჩეული ოჯახებისთვის სახლების მშენებლობასა და „ერთი თბილი ოთახის“ მოწყობაზე.

პროგრამა „სოციალური საცხოვრისი კეთილმოწყობილ გარემოში“ 14 ბენეფიციარისთვის კომუნალური ხარჯების ასანაზღაურებლად (იანვარი, თებერვალი, მარტის თვეებში თითოეულს 100 ლარის ოდენობით) გაიხარჯა 4 200 ლარი. ასევე, გამოცხადდა ტენდერი სოციალური საცხოვრისის რეაბილიტაციისა და ეზოში ფანჩატურის მოწყობაზე.

სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების პროგრამიდან 3 პროექტის თანადაფინანსებისთვის მოთხოვნილი თანხა წარმოადგენს 20 150 ლარს, აქედან გაიხარჯა 9 858.92 ლარი.

• **ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა:**

2018 წლის იანვრიდან დღემდე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისმა კომისიამ ჩაატარა 55 სხდომა. სულ დაფინანსდა 2 991 პირი თანხამ შეადგინა 931 845.29 ლარი, რაც გადანაწილდა ქვეპროგრამების მიხედვით. კერძოდ:

- ძვირადღირებული გამოკვლევების (კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, კორონაროგრაფია) დაფინანსება – ისარგებლა 340 მოქალაქემ (79 863.72 ლარი).
- „C„ ჰეპატიტის პირველადი დიაგნოსტიკის თანადაფინანსება-ისარგებლა 604 მოქალაქემ, (82 942.8 ლარი).
- სტაციონარული სამედიცინო მომსახურების (ოპერაციის) დაფინანსება/თანადაფინანსება - ისარგებლა 827 მოქალაქემ (400 310.28 ლარი).
- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამაში ჩართო და ყოველთვიურად მერიის დაფინანსებას ღებულობს 40 ბავშვი. 10 თვის მანძილზე პროგრამაზე გახარჯულია 98 533 ლარი.
- სარეაბილიტაციო მკურნალობა სხვადასხვა სახის გონებრივი ჩამორჩენილობისა და ქცევითი აშლილობის მქონე ბავშვებისთვის დაუფინანსდა 57 ბავშვს (28 218 ლარი).
- იშვიათი დაავადებების (ცელიაკია და ფენილკეტონურია) მქონე პირების სპეციალიზირებული საკვებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით სარგებლობს 7 მოქალაქე, ფენილკეტონურიით დაავადებულებისთვის ყოველთვიურად გათვალისწინებულია 500 ლარი, ცელიაკიით დაავადებულთათვის-250 ლარი. სულ 10 თვის მანძილზე ამ ქვეპროგრამით გახარჯულია 22 500 ლარი.
- ძვირადღირებული მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამით ისარგებლა 1 114 მოქალაქემ (219 257.49 ლარი).
- განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სპეციფიკური მოვლის საშუალებების დაფინანსების ქვეპროგრამით (ექსკრემენტის მიმღები კონტეინერი) ისარგებლა - 1 მოქალაქემ (200 ლარი).

• **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს წლიური ბიუჯეტი შეადგენს 280000 ლარს, საკუთარი შემოსავლები კი 35140 ლარს.**

პროგრამის ძირითადი მიზანია:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ დელეგირებული და ექსკლუზიური უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობასა და კონტროლის ღონისძიებებს, პირველადი ეპიდკვლევის

წარმოებას, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვას, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვას და განხორციელების ხელშეწყობას, ანგარიშგებას, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფას, მუნიციპალიტეტის იმუნოპროფილაქტიკის მონაცემთა რუტინულ დამუშავებას, ანალიზს, იმუნოპროფილაქტიკისლოჯისტიკის უზრუნველყოფას, ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის მიღება-რეგისტრაცია-გაცემას მუნიციპალიტეტის პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში, „ცივ ჯაჭვის“ ფუნქციონირების უზრუნველყოფას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა/დადგენას, წყალსატევების პასპორტიზაციას დადგენილი წესით, პარაზიტული დაავადებების პირველად ეპიდკვლევას, საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობას, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობას, c ჰეპატიტის სკრინინგს ზოგად პოპულაციაში, საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების კონტროლის ღონისძიებებს, სტომატოლოგიურ კაბინეტებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობას, ცხოვრების ჯანსაღი წესისა და უნარ-ჩვევების დამკვიდრების ხელშეწყობას საინფორმაციო საშუალებებით.

მიღწეული დადებითი შედეგი:

- ჩატარდა 247 ინფექციური კერის კვლევა. ამბულატორიებში, სამედიცინო დაწესებულებებში, საბავშვო ბაღებსა და სკოლებში, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში, სტომატოლოგიურ კაბინეტებში განხორციელდა 784 მონიტორინგი. დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონულ ინტეგრირებულ სისტემაში (დზიე) დარეგისტრირებულ იქნა ინფექციური დაავადებების 6248 შემთხვევა.

❖ სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შ.პ.ს. „ზუგდიდაგროსერვისი“ ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიმდინარე წელს დაფინანსდა 240.0 ათასი ლარით, აღნიშნული შპს ახორციელებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თვითმმართველობის კუთვნილებაში არსებული ქარსაფარი ზოლების, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობასა და დაცვას, სოფლის მეურნეობის დარგში და აგროსერვისის მიწოდების მიმართულებით მუნიციპალური პროგრამებისა და წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქარსაფარ ზოლებს და მასზე დამაგრებულ მწვანე ნარგავების მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ სხვადასხვა ფაქტებზე შ.პ.ს. „ზუგდიდაგროსერვისმა“ მომართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას შესაბამისი რეაგირებისთვის. რათა დროულად განხორციელებულიყო ქარსაფარი ზოლებზე გაშენებული ნარგავების ხელყოფის აღკვეთა (მერიის შესაბამისი კომისიის მიერ ყველა შემთხვევაში მოხდა დროული რეაგირება).

შპს „ზუგდიდაგროსერვისი“-ს მიერ ასევე აქტიურად ხორციელდება, ჩვენს რეგიონში ყველაზე პრობლემური დარგის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა პატრონობისა და მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ახალი მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვის პოპულარიზაცია. წინასწარ დაგეგმილი გრაფიკის მიხედვით, დარგის ექსპერტები ახორციელებენ სოფლებში სავსე პირობებში მოსახლეობასთან შეხვედრებს, რომლის

ფარგლებში ფერმერებს აწვდიან ინფორმაციებს ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების მოვლა პატრონობის ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შესახებ.

ძირითადად მოსახლეობის წახილს წარმოადგენს თხილის კულტურაზე გავრცელებული დაავადებები (ნაცარი, სიდამპლე და სხვა) და მავნებლები (აზიური ფაროსანა). აღნიშნულ პრობლემურ საკითხზე მოსახლეობას და ფერმერებს უტარდებათ კონსულტაციები, გაიცემა რეკომენდაციები/რჩევები შეწამვლითი სამუშაოების აგროვადებზე, გამოსაყენებელ პრეპარატებზე/პესტიციდებზე, მათ უსაფრთხოდ გამოყენებაზე და სხვა მიმდინარე სიახლეებზე.

შპს „ზუგდიდაგროსერვისი“ მონიტორინგს უწევს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აიპ „სურსათი უვნებლობის სააგენტო“-ს მიერ განხორციელებულ შეწამვლით სამუშაოებს აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების ფარგლებში.

შპს „ზუგდიდაგროსერვისი“-ს აქტიური ჩართულობით ხორციელდებოდა აიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ შეწამვლითი ნაკვეთების ინსპექტირება და აზიური ფაროსანას გამრავლების ახალი კერების აღმოჩენა. რის შემდეგაც სპეციალური ტექნიკის საშუალებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხორციელდება საკარმიდამო ნაკვეთების თერმული ნისლით, ხოლო სასიმიინდე ყანების აეროზოლის მეთოდით დამუშავება.

შპს „ზუგდიდაგროსერვისი“-ს მიერ დაკომპლექტებული იყო მოხალისეთა 3 ჯგუფი (2 კაცინი), რომლებიც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელში სოციალურად დაუცველების, ხანდაზმული ბენეფიციარების ან სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების შეწამვლით სამუშაოებს ატარებდნენ მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი სიის მიხედვით.

ასევე ხორციელდება სტატისტიკური ინფორმაციების წარმოება ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგში, ასევე სასოფლო სამეურნეო ტექნიკის აღრიცხვის მიმართულებით.

ასევე აღსანიშნავი და მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის სხვა ა(ა)იპი -ებისა და შპს-ებისროლი.

ა(ა)იპ „ზუგდიდასუფთავების ცენტრი“-ს მიერ განხორციელებული სამუშაოები:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების განსახორციელებლად ბიუჯეტიდან გამოყოფილია 4060.0 ათასი ლარი, საკუთარი შემოსავლები დაიგეგმა 58000 ლარით.

საანგარიშო პერიოდში ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მუნიციპალური ნარჩენების მართვაში განხორციელებული სიახლეებია:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2018 წლის მარტისა და მაისის თვეში განთავსებული იქნა 675 ცალი ნაგავშემკრები კონტეინერი და მისი რაოდენობა გაიზარდა 977-დან 1652 ცალამდე. ამ ღონისძიებამ მკვეთრად გააუმჯობესა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მყარი ნარჩენების დროულად შეგროვებისა და ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირების საკითხი.

ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავებისცენტრი“-ს მიერ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სრულდებოდა ნარჩენების მართვის წლიური და 5 წლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული შემდეგი სახის სამუშაოები:

➤ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვებული და ნაგავსაყრელში ტრანსპორტირებული იქნა სულ 21214 ტონა (დაახლოებით 74249 მ³) მუნიციპალური ნარჩენი. ყოველდღიურად ნაგავსაყრელში საშუალოდ გაიზიდებოდა 76 ტონა (266 მ³) მუნიციპალური ნარჩენი. ამ პროცესს ემსახურებოდა 33 ნაგავმზიდი სატვირთო ავტომანქანა, 50 მძღოლი და 66 მტვირთავი მუშა.

➤ კარდაკარ შემოვლის მეთოდით-(ე. წ. „ზარის“ პრინციპით) - ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ქალაქის 475-ზემეტ ქუჩასა და 48 სასოფლო ტერიტორიული ერთეულის დაახლოებით 1440 ქუჩას, სულ 31 ათას კომლს „კარდაკარ შეგროვების მეთოდით“ ემსახურებოდა 18 სატვირთო ავტომანქანა და 32 მტვირთავი.

➤ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველდღიურად ქალაქსა და რაიონში საშუალოდ იგვებოდა 56 ჰექტარი ფართობი, მათ შორის: ქალაქის ტერიტორიაზე 40 ჰექტარი, სასოფლო - ტერიტორიული ერთეულების მიხედვით კი 16 ჰექტარი.

➤ წარმატებით არის შესრულებული მყარი ნარჩენების მართვის 2018 - 2022 წწ 5 - წლიანი გეგმის ერთ - ერთი ძირითადი მოთხოვნა, რომელიც გულისხმობს როგორც ქალაქში, ისე სასოფლო ტერიტორიული ერთეულების მიხედვით წარმოშობილი მყარი ნარჩენების 90%-ით გატანას და მოსახლეობის 90%-იან მომსახურეობას 2020 წლისათვის: ეს მოთხოვნა ჩვენს მუნიციპალიტეტში დღეისათვის შესრულებულია და მოსახლეობის მომსახურეობის არეალის დაფარვა და წარმოშობილი მყარი ნარჩენების გატანა უზრუნველყოფილია 100%-ით. მუნიციპალიტეტი ამ მაჩვენებლით პირველ ადგილზეა საქართველოში (კარდაკარ შემოვლის მეთოდის დანერგვა სასოფლო - ტერიტორიული ერთეულების მიხედვით, საქართველოს არც ერთ სხვა მუნიციპალიტეტში არ ფიქსირდება).

➤ ასევე ითქმის სტიქიური ნაგავსაყრელებზე, 5 წლიანი გეგმით, სტიქიური ნაგავსაყრელების მთლიანი ლიკვიდაცია დაგეგმილია 2020 წლისათვის. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში კი დღეის მდომარეობით სტიქიური ნაგავსაყრელები მთლიანად არის ლიკვიდირებული.

➤ მიმდინარე წლის 9 თვეში მომსახურეობა გაეწია 627- ზე მეტ კერძო მეწარმეს, 44 სახელმწიფო დაწესებულებას, 56 საჯარო სკოლას, 65 დანარჩენ საგანმანათლებლო დაწესებულებას, 35 ტურისტული დანიშნულების ობიექტს , სულ 792 ობიექტს.

➤ სისტემატურად გაიზიდებოდა ნარჩენები ადგილნაცვალ პირთა ჩასახლების ადგილებიდან, მათი ახალი დასახლებებიდან. ყოველდღიურად სუფთავდებოდა დადიანების სასახლის წინ მდებარე ბაღის ტერიტორია, ცენტრალური სუპერმარკეტის შიდა და მისი მიმდებარე ტერიტორია, იკვ-ს დასახლება, ზუგდიდის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის სკვერი, საჯარო რეესტრის სამსახურის ახალი შენობის მიმდებარე „სკეიტ პარკის“ ტერიტორია, საჭიროებისდა მიხედვით მომსახურეობა ეწეოდა ზუგდიდში მშენებარე საკათედრო ტაძარს და ა. S.

➤ დასუფთავების სამსახურის მიერ სისტემატურად გაიზიდებოდა მერიის კეთილმოწყობის სამსახურების მიერ ჩატარებული სამუშაოების შემდეგ წარმოშობილი მყარი და არამყარი ნარჩენები,ყოველდღიურად ხდებოდა ნარჩენების გატანა მუნიციპალიტეტს დაქვემდებარებული ყველა სასაფლაოდან.

➤ ნარჩენების შეგროვება ხდებოდა 6 სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, კერძოდ:

1.კოლექტიური (კონტეინერული მეთოდით) შეგროვება ;

2.კარდაკარ შემოვლის მეთოდი - (ე. წ. „ზარის“ პრინციპი);

3. ტერიტორიების ყოველდღიური დაგვა - დასუფთავება დამგველი მანქანით;

4. ტერიტორიების ყოველდღიური დაგვა - დასუფთავება ხელით და წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირება ნაგავსაყრელამდე.

5. დანაგვიანებული ტერიტორიებიდან ცელოფნების, პლასტმასის, მასობრივი თავშეყრის ადგილებში დღის განმავლობაში წარმოშობილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების აკრეფა ხელით, შეგროვება, დატვირთვა კომპაქტორიან ნაგავმზიდებზე და ტრანსპორტირება ნაგავსაყრელამდე;

6. ანაკლია - განმუხურის ზღვის სანაპირო ზოლში 5 – 8 ჰექტარზე, კვირაში ორჯერ, ზღვის ამონაყარის და ნარჩენების შეგროვება სპეციალური, უნივერსალური ტექნიკა - ზღვის ამონაყარის ამკრეფი მისაბმელით და ტრანსპორტირება ნაგავსაყრელამდე ორხიდიანი კომპაქტორიანი ნაგავმზიდით .

➤ ყოველდღიურად ხორციელდებოდა 48 სასოფლო ცენტრამდე მისასვლელი ცენტრალური გზისა და ქალაქში შემოსასვლელი ტრასების, დაახლოებით 650 კილომეტრის გაწმენდა მყარი ნარჩენებისაგან.

➤ გაიწმინდა ბორდიურები 28200 გრძივ მეტრზე.

➤ ოთხჯერ, ტექნიკის გამოყენებით გაიწმინდა მდინარე ჩხოუმის კალაპოტი.

➤ წარმატებით ხორციელდებოდა ქალაქის მწვანე ნარგავების დაცვა. დაჯარიმებულია 149-ზე მეტი მსხვილფეხა-რქოსანი პირუტყვის მეპატრონე. ქალაქის ცენტრალური ნაწილიდან განიდევნებოდა ყოველდღიურად საშუალოდ 300 - 320 სულზე მეტი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი.

➤ გარდა ზემოთ დასახელებული სამუშაოებისა, ააიპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“-ს სამსახურმა უშუალოდ მიიღო მონაწილეობა და ხელმძღვანელობდა დასუფთავების სხვადასხვა აქციებს და აქტივობებს;

5 წლიანი გეგმით 2019 წლისათვის განსაზღვრული ძირითადი ამოცანებია:

1. მყარი ნარჩენების სეპარირებული შეგროვების დაწყება
2. ნარჩენების კონპოსტირების საპილოტე პროგრამების განხორციელება
3. ქალაქის, პლასტიკატის, მინისა და ლითონის მასალების რეციკლირების დაწყება.

მოსახლეობის ინფორმირება, ურთიერთობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან:

ცენტრის მიერ გაწეული სამუშაოების თაობაზე, ასევე სიახლეების დანერგვაზე, მოსახლეობის მონაწილეობის აუცილებლობაზე და მათი როლის მნიშვნელობაზე მყარი ნარჩენების მართვაში, კანონმდებლობის მოთხოვნებზე მოსახლეობის ფართო მასების ინფორმირების მიზნით, ცენტრში შექმნილია საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. ამ სამსახურის მიერ დაწვრილებითი ინფორმაციები ყოველდღიურად ქვეყნდება, სოციალურ ქსელში, „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“-ს ვებ გვერდზე. გამოქვეყნებულ მასალებზე მოსახლეობის რეაგირება გამოიყენება საანალიზო მასალად ცენტრის მუშაობის შემდგომი სრულყოფისათვის.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ, ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრთან“ ერთად შეიმუშავა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში „მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა 2018 – 2022 წლებისათვის“. გეგმა დამტკიცებული იქნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ .

ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს მიერ განხორციელებული სამუშაოები:

ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს 2018 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 4267.0 ათას ლარს. მათ შორის საკუთარი სახსრების შემოსავლები - 137.0 ათ. ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები - 4130.0 ათას ლარი.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამუშაოები სრულდებოდა გეგმის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველდღიურად ხდებოდა გარე განათების ქსელის მოწყობა-მოვლა, ექსპლუატაცია-რეაბილიტაცია. დღეის მდგომარეობით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარეობს გარე - განათების სანათების შეცვლა ახალი თანამედროვე დიოდური ტიპის 100 ვატიანი, 60 ვატიანი და 30 ვატიანი ე.წ. "LED" სანათებით. ახალი დიოდური სანათების დამონტაჟების მთავარი მიზანია მოხმარებული ელ. ენერჯის შემცირება და შესაბამისად მისი ღირებულების დაახლოებით 40-50%-ით შემცირება.

პერიოდულად მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე ქსელების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა და რეაბილიტაცია, ტროტუარების და ბორდიურების კეთილმოწყობა და რეაბილიტაცია, გამწვანებისა და მისი მოვლითი სამუშაოების განხორციელება. პარკების, სკვერების გაზონების გამწვანების კეთილმოწყობა, ავარიული და გამხმარი ხეების გადაბეღვა. საანგარიშო პერიოდში მოწესრიგდა სანიაღვრე არხები, რომელიც შეადგენს 4835 გრძივ მეტრს, ასევე წყალსაწრეტი არხების და ნაპირსამაგრი ჯებირების მოწყობა-რეაბილიტაცია ჩატარდა 9606,45 გრძივ მეტრზე. გზის მოსწორება-7319 გრძივ მეტრზე, 564360 კვ.მ. მწვანე ზოლის გათიბვა-გაწმენდა ეკალ-ბარდებისაგან და ხეების გადაბეღვა საჭიროების შემთხვევაში.

ასევე, პერიოდულად მიმდინარეობდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე გამხმარი და ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ხეების მოჭრა, გასხვლა, გადაბეღვა და მორებად კუბურ მეტრებში საშემედ გამოყვანა. მიმდინარე წელს საშემედ დამზადდა 291,703მ3, გაცემულ იქნა სოციალურად დაუცველ 88 ოჯახზე, 264 მ3 საშემედ მერქანი.

აქვე გაცნობებთ, რომ ზემოთ აღნიშნულ ხარჯებში არ არის გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული წყალმომარაგების და კანალიზაციის ქსელის ექსპლუატაცია-რეაბილიტაციის ხარჯები, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 23 ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების დაახლოებით 50-მდე ობიექტს წყალგაყვანილობის სისტემით (ჭაბურღილის ან წყაროს წყლის ბაზაზე წყალშემკრები ავზი, წყალშემგროვებელი რეზერვუალით, წყალგაყვანილობის მილებით). ასევე მუნიციპალიტეტის ხუთ ადმინისტრაციულ ერთეულში ფუნქციონირებს საკანალიზაციო სისტემა, როგორც საკანალიზაციო ისე წყალმომარაგების სისტემები საჭიროებენ ტექნიკურ მომსახურებას, რაც პერიოდულად მწვავედ იჩენს თავს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა.(ა.)ი.პ. „ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრი“-ს მიერ განხორციელებული აქტივობები:

ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელებისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილია 200.0 ათასი ლარი.

აქტიურად მიმდინარეობს ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაცია. ეტაპობრივად, თებერვლიდან აგვისტოს ჩათვლით შესწავლილ იქნა თითოეული სახეობის ხე-მცენარე, ბუჩქი, სარეველა და ბალახის სახეობა. განხორციელდა ხე-მცენარეებისა და ბუჩქების სახეობათა ზოგადი აღწერა. დაკვირვება მიმდინარეობდა ვეგეტაციის მიხედვით, რის შედეგად დადგინდა მცენარეების ფაქტიური მდგომარეობა, (დაზიანებული, დაავადებული, გამხმარი), გაკეთდა შესაბამის დასკვნები, რის საფუძველზეც კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ხე-მცენარეების სანიტარული ჭრის, გადაბეღვისა და დაბუჩქვის შესახებ.

საქართველოში მოქმედ ბოტანიკური ბაღების თანამშრომლებთან გაზიარებულ იქნა არაერთი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა:

- იშვიათი ჯიშის მცენარეთა თესლების შეგროვება, გამრავლება, რეალიზაცია;
 - მცენარეთა კონსერვაცია;
 - ჰერბარიუმების შექმნა;
 - კალმებისა და ნერგების გამრავლება და რეალიზაცია;
 - კულტურულ-საგანმანათლებლო, ეკოლოგიურ, განათლებისა და ბუნებისდაცვით საკითხებში მათი გამოცდილება;
 - ბოტანიკური ბაღის დარგობრივი და ტემათური მიმართულებების შესწავლა;
- ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე არსებული ჯვარედინა სასახლის და ორანჟერიის (ე.წ. საჯინიბო) კონსერვაციის ნაცვლად განხორციელდება აღნიშნული ობიექტების რესტავრაცია-ადაპტაცია.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“- ის მიერ განხორციელებული სამუშაოები:

შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“-ის ფინანსური ხელშეწყობისთვის გამოყოფილია 350.0 ათასი ლარი.

შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“-ი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კერძოდ ზღვისპირა კურორტ ანაკლია-განმუხურის ტურისტულ ზონაში ახორციელებს სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებს და მათ შემდგომ მოვლა-პატრონობის სამუშაოებს. ასევე აქტიურად მონაწილეობს დაგეგმილი კულტურულ-გასართობი ღონისძიებების დაგეგმარება-განხორციელების პროცესებში.

შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“-ის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ იქნა შემდეგი ძირითადი სამუშაოები:

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის სამშენებლო სამუშაოების ფარგლებში, სამშენებლო ტერიტორიიდან მრავალწლოვანი სხვადასხვა სახეობის და ციტრუსოვანი ხე-მცენარეების გადარგვის და მისი სპეციალური პესტიციდებით/ქიმიური პრეპარატებით შემდგომი მოვლა-პატრონობის ღონისძიებების განხორციელება ანაკლია-განმუხურის ბულვარის ტერიტორიაზე. აღნიშნული სამუშაოებისათვის ჯამში დაიხარჯა 8000 ლარი;

განხორციელდა ანაკლია-განმუხურის დამაკავშირებელი საფეხმავლო ხის ხიდის მცირე აუცილებელი სამუშაოები, როგორცაა: ელ. გაყვანილობისა და ხიდზე არსებული კომუნიკაციის მოწესრიგება; ხიდის შიდა და გარე დეტალების კაპიტალური რეცხვა-დასუფთავება; ხიდის ქვედა ნაწილში არსებული დაზიანებული მინაპლასტიკების შეცვლა. აღნიშნული სამუშაოები მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა 28400 ლარი;

განხორციელდა განმუხურში მდებარე ამფითეატრის მცირე გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები, როგორცაა: დაზიანებული მიწის კარისა და ვიტრაჟული ფანჯრების გამოცვლა, რომლის მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა -7000 ლარი;

მთელი საკურორტო სეზონის მანძილზე ხორციელდებოდა 1 ერთეული გამწმენდი ნაგებობის მოვლა-პატრონობა და ტექ. ზედამხედველობა, 60 ერთეული საკანალიზაციო ჭისა და 2500 მეტრი საკანალიზაციო მილების გაწმენდა-მოვლა/პატრონობა, ასევე განხორციელდა გადამქაჩი ტუმბოების შეკეთების ღონისძიებები, რომლის ფარგლებშიც დაიხარჯა 6200 ლარი;

ანაკლია-განმუხურის სანაპირო ზოლზე და ბულვარის ტერიტორიაზე განხორციელდა ელ. მომარაგებისა და ელ. გაყვანილობის ქსელის მოვლა-პატრონობის სამუშაოები ღირებულებით 8300 ლარი;

ჩატარდა ანაკლია-განმუხურის ბულვარის ტერიტორიაზე განთავსებული ტუალეტების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ღირებულებამ შეადგინა 8400 ლარი;

შემენილ იქნა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის სპორტული მოედნის მინდვრის საფარის მოვლა-პატრონობისათვის აუცილებელი ბალახისსაკრეჭ-სათიბი ტრაქტორი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 17500 ლარი;

განხორციელდა განმუხურში მდებარე სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მცირე გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები, საერთო ღირებულებით 14900 ლარი;

შესრულდა სანაპირო ზოლზე განთავსებული სამაშველო კოშკურების სარეაბილიტაციო სამუშაოები, საერთო ღირებულებით 900 ლარი;

❖ მუნიციპალიტეტის მუშაობის საჯაროობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტად სწორედ, რომ გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და მოქალაქეთა ჩართულობა რჩება. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტი არაერთ მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს, როგორცაა: **„კარდაკარ საჭიროებებზე“**, **„უფრო ახლოს ხალხთან“** **„დასახლების საერთო კრება“** და სხვა. ეს პროექტები ითვალისწინებს მერისა და სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელების მოსახლეობასთან ადგილზე გასვლას და მათი საჭიროებების მოსმენას.

მუნიციპალიტეტის მერია, კვარტალში ერთხელ გამოსცემს გაზეთს სახელწოდებით-**„ახალი ზუგდიდი“**, სადაც მოცემულია მიმდინარე და დასრულებული ინფრასტრუქტურული და არამართო ინფრასტრუქტურული პროექტები, ამავე გაზეთის მეშვეობით ადგილობრივები იღებენ ინფორმაციას, მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების შესახებ. გაზეთის მიზანი სწორედ, რომ მოქალაქეების ინფორმირებულობა მუნიციპალურ პროექტებზე.

მერიაში მოქმედ ორენოვან ვებ.გვერდზე და ფეისბუქგვერდზე გამოიყენება ორმხრივი კომუნიკაციის ისეთი საშუალებები, როგორცაა - **„დაუკავშირდი ხელისუფლებას“**, **„მიიღე მონაწილეობა ბიუჯეტის პრიორიტეტების შერჩევაში“**, **„შექმენი პეტიცია“**, **„მოითხოვე ინფორმაცია“**, **„ელ.ფოსტა.“** ამ საშუალებებით მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ ნებისმიერი სახის საჯარო ინფორმაცია და წარმოადგინონ მათთვის საინტერესო იდეები. ასევე იგეგმება კომუნიკაციის ახალი ფორმების დანერგვა: **„ცხელი ხაზი“**, **„ერთი დღე მერთან.“**

„შენი იდეა ზუგდიდის მერს“ ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მერიას OGP „ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019“ ფარგლებში აქვს ვალდებულება ადებული. იგეგმება პორტალის შექმნა 2019 წელს, სადაც მოქალაქეებს პორტალის მეშვეობით შეეძლება იდეების გამოგზავნა ონლაინ რეჟიმში.

ამჟამად, „შენი იდეა ზუგდიდის მერს“ ხორციელდება, თუმცა მოქალაქეებს ამ ეტაპზე იდეების გამოგზავნა შეუძლიათ სპეციალურად შექმნილ ელ. ფოსტაზე, **ideazugdidi@gmail.com**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში გამოიყენება მოქალაქეთა ჩართულობის ისეთი ფორმები, როგორცაა **„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - მრჩეველთა საბჭო“**, **„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ დონეზე მომუშავე საბჭო“** (ზემოაღნიშნული საბჭოების

მუშაობაში ჩართულნი არიან საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენლები) და დასახლების საერთო კრებები.

მიმდინარე წლის დასაწყისიდან იმართება მერის, მერიის სხვა თანამდებობის პირებისა და თანამშრომლების შეხვედრები მოსახლეობასთან, ასევე იგეგმება ადმინისტრაციულ ერთეულებში დასახლების საერთო კრებების ჩატარება, სადაც მოსახლეობასთან ერთად განიხილება კონკრეტულ ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემები.

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის და საქართველოს მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების 2017 წლის ეროვნული შეფასების მიხედვით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი საუკეთესო მუნიციპალიტეტების ხუთეულში მოხვდა და გადაეცა შესაბამისი სერთიფიკატი,

ყოველივე ზემოაღნიშნული ნათელი დასტურია იმისა, რომ მერია აქტიურად მუშაობს მოქალაქეთა ჩართულობისა და ღია მმართველობის მიმართულებით.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში საანგარიშო პერიოდში შემოვიდა-21506 კორესპონდენცია, მერიიდან გასული კორესპონდენციის რაოდენობამ შეადგინა-12751, მათ შორის-140 საჯარო ინფორმაციაა, მერიის მიერ გამოიცა-7164 სამართლებრივი აქტი, მათ შორის: მერის ბრძანება-5981, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის განკარგულება-1136 და ცხოვრების ფაქტის დამდგენი კომისიის განკარგულება-47.

აქვე მინდა შევეხო რამოდენიმე საკითხს:

- დაჩქარებული ტემპებით მიმდინარეობს მოსახლეობის გაზიფიკაციის საკითხების გადაწყვეტა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაზიფიცირების გარეშე ამ ეტაპზე დარჩენილია 14 სოფელი, უახლოეს დღეებში დაიწყება ზედაეწერის ადმინისტრაციული ერთეულში გაზიფიკაციის სამუშაოები, მომზადდა გაზიფიცირების პროექტი ჩხორიისა ადმინისტრაციული ერთეულისთვის, ხოლო პროექტირება იწყება: ოქტომბრის, დავითიანის, ნარაზენის და შამაღელას ადმინისტრაციული ერთეულების გაზიფიცირების შესახებ.

ზემოაღნიშნული სამუშაოებისა და ღონისძიებების განხორციელების საფუძველი იყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მონდომება, მერიის თანამშრომელთა ერთიანი გუნდის პროფესიონალიზმი და მაღალი პასუხისმგებლობა მოსახლეობის წინაშე,